

დაუმთავრებელი ფლიგელის მეზობლად არსებული ერთსართულიანი შენობების (მაღაზია და სატრანსფორმატორო ქვესადგური) უსაფრთხოების მიზნით ამ შენობების თავზე, სახურავიდან 50 სმ-ით ზემოთ, სადემონტაჟო ფლიგელის კედელზე ეწყობა დროებითი დამცავი ლითონის ბადე ფიცარნაგით (სახიფათო ზონის ფარგლებში), იხილეთ „სადემონტაჟო სქემები“ -ნახაზი -მო1.

ასაწყობი კონსტრუქციების დემონტაჟის დროს სადემონტაჟო ფლიგელის კონტურიდან კომპურა ამწის ისრის გამოსვლის შემდეგ ხდება ისრის შვერისა და კაკვის აწევის სიმაღლის შემცირება თანდათანობით (ღია სასაწყობო მოედნამდე). მუშაობის დროს ამწეს აქვს ისრის მოტრიალების, ისრის შვერის და კაკვის აწევის სიმაღლის შეზღუდვები.

არასადემონტაჟო ფლიგელის (4/4 -ლტოლვილთა საცხოვრებელი) და სკოლის ძირითადი კორპუსის მიჯნაზე სადემონტაჟო სამუშაოები უნდა შესრულდეს არასადემონტაჟო ფლიგელის კონსტრუქციების დაზიანების გარეშე, ამასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ძირითადი კორპუსის სარდაფის და საძირკვლების დემონტაჟის დროს არასადემონტაჟო ფლიგელის სარდაფის და საძირკვლების დაცვას დაზიანებისგან, საჭიროების შემთხვევაში მოხდეს არასადემონტაჟო ფლიგელის საძირკვლების გამაგრება ან დაგრძელება.

ყველა სადემონტაჟო სამუშაო არასადემონტაჟო ფლიგელის და ძირითადი კორპუსის მიჯნიდან 10 მ-ის მანძილზე ახლოს (ძირითადი კორპუსისკენ) აკრძალულია სანგრევიტექნიკის გამოყენება. ამ რადიუსში ძირითადი კორპუსის სადემონტაჟო სამუშაოები სწარმოებს ხელით, მცირე მექანიზაციის საშუალებათა გამოყენებით.

ძირითადი კორპუსისა და არასადემონტაჟო ფლიგელის (ლტოლვილების) მიჯნიდან 10 მ-ის მანძილზე ახლოს (ძირითადი კორპუსისკენ) სადემონტაჟო სამუშაოები შესრულდეს სამხარაულის

სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ შესასრულებელი (ორგანიზაციის პროექტის მოთხოვნის თანახმად) გამოკვლევების შედეგად მოცემული დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად.

VI. საჭირო მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი

სკოლის ძირითადი კორპუსის, დაუმთავრებელი ფლიგელის და ერთსართულიანი შენობების სადემონტაჟო სამუშაოების ჩასატარებლად საჭიროა შემდეგი მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი:

1. კოშკურა მოძრავი ამწე, ტვირთამწეობით 8ტნ, კბ-403ა -1ცალი
2. საავტომობილო ამწე, ტვირთამწეობით 16ტ - 1ცალი
3. ექსკავატორი „უკუჩამჩა“, ტევადობით 1მ³-1ცალი
4. ექსკავატორი-ემვიანი „კოდალა“-1ცალი
5. ბულდოზერი-1ცალი
6. მოძრავი კომპრესორი-2ცალი
7. ავტოთვითმცლელელები-6ცალი
8. ბორტული ავტომანქანა-4ცალი
9. სპეციალიზებული ტრანსპორტი-2ცალი
10. ავტოდამტვირთავი - 2ცალი

დემონტაჟისათვის აუცილებელია ასევე შემდეგი მცირე მექანიზაციის საშუალებები და ინვენტარი:

1. მცირე მექანიზაციის საშუალებები-4კომპლექტი
2. პნევმატური სანგრევი ჩაქურები-4ცალი
3. ელექტროსანგრევი ჩაქურები-4ცალი
4. ელექტრული ჭრის მექანიზმი-4ცალი
5. ინვენტარული ხარაჩოები-600მ²

VII. უსაფრთხოების ტექნიკა

ყველა სადემონტაჟო სამუშაო უნდა შესრულდეს სნდაწ - III-4-80* - „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“-ის მოთხოვნების მკაცრი დაცვით, ასევე ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების მოთხოვნების მკაცრი დაცვით.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე დემონტაჟის შემსრულებელმა ორგანიზაციამ აუცილებლად უნდა უზრუნველყოს „სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტი“-ს დამუშავება, რომელშიც დეტალურად იქნება მოცემული სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები და უსაფრთხოების ღონისძიებები.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე შენობის შიგა კომუნიკაციები (დენი, წყალი, კანალიზაცია, გაზი და სხვა) უნდა გამოირთოს გარე ქსელებიდან.

ანაკრები რკ/ბეტონის კონსტრუქციების დემონტაჟის დაწყებამდე აუცილებლად უნდა დაზუსტდეს მათი წონები, განლაგება და ტექნიკური მდგომარეობა.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე დროებითი ღობით აუცილებლად უნდა შემოიღობოს სახიფათო ზონები, აღინიშნოს ეს ზონები კარგად დასანახი ამკრძალავი და გამაფრთხილებელი ნიშნებით და სასიგნალო ნათურებით, მოეწყოს დროებითი დახურული გასასვლელები, დამცავი ლითონის ბადე, დაიკეტოს საცალფეხო გზა.

სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას აკრძალულია უცხო ადამიანთა ყოფნა სკოლის ტერიტორიაზე და განსაკუთრებით კი დემონტაჟის სახიფათო ზონებში.

დემონტაჟის სახიფათო ზონების რადიუსები განისაზღვროს სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტში ან უშუალოდ ადგილზე. სამუშაოთა დაწყების წინ.

ყველა მუშა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი სამუშაოთა წარმოებისას აღჭურვილი უნდა იყოს ინდივიდუალური უსაფრთხოების კომპლექტით(უსაფრთხოების ქამრები,რეზინის ფეხსაცმელი, ხელთათმანები, ჩაფხუტები და სხვა). აკრძალულია სადემონტაჟო სამუშაოებზე მუშათა დაშვება დამცავი ჩაფხუტის,უსაფრთხოების ქამრების,რესპირატორებისა და დამცავი სათვალეების გარეშე.

აკრძალულია მანქანა-მექანიზმების მუშაობა უშუალოდ მოქმედი ელ. გადამცემი ხაზების ქვეშ.

მოქმედი ელ.გადამცემი ხაზების სიახლოვეს მანქანა-მექანიზმების მუშაობა დასაშვებია მხოლოდ დამშვები განწყისის საფუძველზე.

სადემონტაჟო სამუშაოებზე დასაქმებულებს აუცილებლად უნდა ჩაუტარდეს სისტემური სწავლება უსაფრთხოების ტექნიკის საკითხებში. მხოლოდ ამ ცვლილებების შემდეგ არის ნებადართული მათი დაშვება სადემონტაჟო სამუშაოებზე. სადემონტაჟო სამუშაოების უსაფრთხო წარმოებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება უსაფრთხოების ინჟინერს და სამუშაოთა მწარმოებელს.

ყოველი მომუშავე სამუშაოს წარმოებისას უნდა იმყოფებოდეს უშუალოდ თავის სამუშაო ადგილზე,მოერიდოს სახიფათო ზონებში ყოფნას და სიარულს,დაემორჩილოს ამკრძალავ,გამაფრთხილებელ და მიმითითებელ ნიშნებს. სამუშაოები უნდა სწარმოებდეს უშუალოდ სამუშაოთა მწარმოებლის მეთვალყურეობით.

თითოეულ სართულზე სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას აკრძალულია ადამიანთა ყოფნა ამ სადემონტაჟო სართულის ქვემოთ განლაგებულ სართულებზე.

სამშენებლო ნაგვის გატანა ხორციელდება ავტოთვიტმცლელელებით ნაგავსაყრელზე.

სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას მიღებული უნდა იქნას ზომები და შემუშავდეს ღონისძიებები გარემოსა და გარემომყოფთა დასაცავად მტვრისგან და ხმაურისგან.

სადემონტაჟო ფლიგელის მეზობლად არსებული ერთსართულიანი შენობების (მაღაზია და სატრანსფ. ქვესადგური) უსაფრთხოების მიზნით ამ შენობების თავზე, სახურავიდან 50სმ-ის სიმაღლეზე, სადემონტაჟო ფლიგელის კედელზე ეწყობა დროებითი დამცავი ლითონის ბადე ფიცარნაგით (სახიფათო ზონის ფარგლებში).

ცხრა ძმის ქუჩაზე, დროებითი ღობის გასწვრივ (დაუმთავრებელ ფლიგელთან) ეწყობა დროებითი დახურული გასასვლელი ფეხით მოსიარულეთათვის.

ასევე ეწყობა დროებითი დახურული გასასვლელი ფეხით მოსიარულეთათვის არასადემონტაჟო ფლიგელთან დროებითი ღობის კონტურზე, სადარბაზოდან ცხრა ძმის ქუჩამდე. (იხ. „სადემონტაჟო გენგემა“ -ნახაზი -„მ01“)